



MES 0 21 0000889999



10/09/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 27.08.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:05 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:08 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანაფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანესიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **გიორგი ღალანძიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

10. **დიანამქედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

11. **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

12. **თამარჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

13. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|------------------|---|
| 1 | შოთა კეჭერაშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2 | ლალი ოდიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 3 | ნინო ალავეძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი |
| | ნინო გულიაშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|------------------------|--|--|---------|
| 1 | გოჩა თუთბერიძე | შპს ქუთაისის უნივერსიტეტი | რექტორი | II, III |
| 2 | სოფიო ხუნდაძე | | ვიცე-რექტორი, ხარისხის განვითარების მიმართულებით | II, III |
| 3 | თათია ხარაბაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | II, III |
| 4 | მაია აზმაიფარაშვილი | | „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი | III |
| 5 | პანტელეიმონ კლდიაშვილი | | „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | III |
| 6 | ნინო ჯოჯუა | შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი | პრორექტორი, ხარისხის განვითარების მიმართულებით | IV |
| 7 | თეა კბილცეცხლაშვილი | | პრორექტორი, სასწავლო და სამეცნიერო დარგში | IV |
| 8 | ეკატერინე ფიფია | | პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| 9 | თამარ კაკუტია | | | IV |

| | | | | |
|----|-------------------|-----------------------------------|---|---|
| | | | სასწავლო კურსის „განათლების დაფინანსება და ბიუჯეტირების“ ლექტორი | |
| 10 | ზაზა რუხაძე | შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი | ვიცე-პრეზიდენტი, სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში | V |
| 11 | ქეთევან ჯინჭარაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | V |
| 12 | გიორგი გაბისონია | | მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი ხარისხის უზრუნველყოფის დარგში | V |
| 13 | შორენა ტუკვაძე | | „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | V |

აკრედიტაციის ექსპერტები

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|-------------------|--|---------|
| 1 | ვასილ კიკუტაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II, III |
| 2 | მერაბ ხოხობაია | (ჩაერთო „ზუმით“) | II, III |
| 3 | ელენე ჯიბლაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 4 | ირინე ფხაკაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 5 | ლიანა საგინაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | V |

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 3 აგვისტოს №765578 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 3 აგვისტოს №765578 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

„2.2. ცენტრის დირექტორის „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ 2021 წლის 25 მაისის № 486579 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი).“

2. მეორე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებულია |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 11.11.2011, გადაწყვეტილებით №261 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |

| | | |
|----|---|--|
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქუთაისი, 4600, ავ. წერეთლის ქ. №13 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, განმარტა, რომ განიხილებოდა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. მან აღნიშნა, რომ დაკორექტირებულია პროგრამის ძველი სახელწოდება „ტურიზმის მენეჯმენტი“ და პროგრამა წარმოდგენილია ახალი სახელწოდებით „ტურიზმი“. პროგრამაში განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რომელიც გაიწერა აქტიური ზმნების გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების ჯეროვნად მიღწევისა და შეფასების მიზნით შემუშავდა: „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“; „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“; „სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა“ და „საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“. გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა პროგრამის სასწავლო გეგმაში და „ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო“, „ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით“ და „თავისუფალი კომპონენტის“ სასწავლო კურსებს დაემატა ისეთი სასწავლო კურსები, როგორცაა საქართველოს ტურისტულ რეკრეაციული რესურსები, დარგობრივი ინგლისური, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, ლოგისტიკა ტურიზმში, გეოსაინფორმაციო სისტემები, საერთაშორისო ტურიზმი, ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული პასუხისმგებლობა, მომსახურების მარკეტინგი.

არაგეგმიური მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ტურიზმი“, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისას შემოწმებული იქნა აკრედიტაციის პირველი და მეორე სტანდარტები სრულად, მესამე სტანდარტის 3.2 კომპონენტი და მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტი. შესაბამისად, პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტის მხოლოდ 2.2 და 2.3 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი კომპონენტები,

როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. ასევე, 3.2 და 4.1. კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან. რომელთა შემოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა 2 რეკომენდაცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით არჩევითი სასწავლო კურსი - „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას, როგორც სავალდებულო კურსი, რომელიც თავის მხრივ ორიენტირებულია პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული ცვლილება ბუნებრივია ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას;

2. რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსად, „ტურიზმის ეკონომიკის შეთავაზება“. რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური ასპექტების ეროვნულ და რეგიონულ ჭრილში გააზრებას და ახალი იდეების გენერირებას;

პროგრამამ მთელი ამ ხნის მანძილზე განახორციელა რიგი ცვლილებები და პროგრესი, რაც წარმოდგენილია, როგორც ცალკეული კურსების დონეზე, ასევე პროგრამის თანმხლებ დოკუმენტაციაშიც.

მონიტორინგის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომებთან მიმართებაში, რომელიც დაწესებულების მხრიდან დროულად იქნა მიწოდებული და აღნიშნული პროცესი მივიდა საბოლოო, ლოგიკურ ფინალამდე.

15:08 საათზე საბჭოს შემოუერთდა ეკატერინე ნაცვლიშვილი, მან განაცხადა თვითაცილება, რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია აზმაიფარაშვილმა, რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, სასწავლო კურსი გადატანილია სავალდებულო კომპონენტში, მათ ასევე აქვთ „ინფორმაციის დამუშავებას თანამედროვე ოფისში“, თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ უფრო მეტად გაღრმავების მიზნით დაწესებულებამ მიიღო აღნიშნული რეკომენდაცია და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ უფრო მეტად პრაქტიკულ უნარებს განუვითარებს და შესაბამისად გადაიტანეს სავალდებულო კომპონენტში.

მეორე რეკომენდაციის შესახებ მან განმარტა, რომ კომიტეტზე, როდესაც პროგრამის განახლებაზე მუშაობდნენ ბევრი იფიქრეს აღნიშნული სასწავლო კურსის („ტურიზმის ეკონომიკა“) შესახებ, მაგრამ არარელევანტური სახელმძღვანელოების არსებობის გამო აღარ მიიღეს მონაწილეობა, თუმცა გაითვალისწინეს რეკომენდაცია, მოიწვიეს განმახორციელებელი, რომელმაც ინგლისური ენა ძალიან კარგად იცის და მუშაობენ ახალ სილაბუსზე. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით ძირითადი სასწავლო სფეროს სასწავლო კურსებად ჰქონდათ „ეკონომიკის პრინციპები (1, 2)“ და „სტატისტიკა“, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ცოდნისა და უნარების ჯეროვნად განვითარებას, თუმცა სასწავლო კურსის „ტურიზმის ეკონომიკა“ შეთავაზება სტუდენტებს დარგის მნიშვნელობის, ეკონომიკური მოვლენის უფრო ღრმად შესასწავლად, როგორც ეკონომიკური წარმოდგენა, მოთხოვნა-მიწოდება თვალსაზრისით, რეკომენდაცია მისაღებია, დაწესებულების წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს მუშაობა და მათი მოსაზრებით კარგ სილაბუსს შეთავაზებენ სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს საქმე აქვს არატრადიციულ ვითარებასთან, რადგან პროგრამა არის „ტურიზმი“, მაგრამ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“. მისი მოსაზრებით, დაწესებულება

ამოვიდა კვალიფიკაციის მინიჭების წესიდან, რომელიც განსაზღვრავს, რომ 1013 და 1015-ში თუ პროგრამები მართვაზეა ორიენტირებული, შესაძლებელია მინიჭება მოხდეს ბიზნეს ადმინისტრირების დეტალური სფეროს მინიშნება, რისი ლოგიკაც გასაგებია, თუმცა საბჭოს წევრი დაინტერესდა, რომ, როდესაც დეტალურად შეისწავლეს პროგრამა, დადასტურებულად ამბობენ თუ არა, რომ პროგრამა ორიენტირებულია მართვაზე, ანუ შეესაბამება იმ დათქმას, რაც უნდა იყოს აუცილებლად აღნიშნული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, რადგან აღნიშნული საკითხი პრინციპულად მნიშვნელოვანია. იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენ რეკომენდაციებს და განმარტა, რომ ნანახი აქვს ყველაფერი და პრობლემური არაფერი არ არის, სასწავლო კურსების სტანდარტული შეთავაზებაა, რომელსაც ყველა დაწესებულება სთავაზობს ხოლმე.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე, დაინტერესდა პრაქტიკასა და საბაკალავრო პროექტს შორის მიმართებით, რადგან მისი მოსაზრებით რაღაც კომპონენტები არ იყო გადაკვეთილი, თუმცა ორივე სავალდებულო კომპონენტია. მისი თქმით, საბაკალავრო პროექტში აღნიშნულია, რომ სტუდენტმა უნდა ჩაატაროს სავლე კვლევა, თუმცა პროგრამაში ვერ მოძებნა კვლევის მეთოდები, შესაბამისად დაინტერესდა თუ იფარება რომელიმე საგნით, თუ როგორ ჩაატაროს სტუდენტმა სავლე კვლევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, საბჭოს წევრს, გიორგი დაღანიძეს უპასუხა, რომ პროგრამა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში), წინა სახელწოდება იყო ტურიზმის მენეჯმენტი, სადაც იდგა აღნიშნული საკითხი, რომ მართვაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, შემდეგ კი ბიზნეს ადმინისტრირების ჭრილში დამატებულია ძალიან ბევრი საგანი და გამტკიცებულია, შესაბამისად არანაირი ხარვეზი პროგრამაში არ არსებობს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია აზმაიფარაშვილმა, კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია კარგად ჩანს სწავლის შედეგებიდანაც. პრაქტიკასა და საბაკალავრო პროექტს შორის მიმართების შესახებ მან აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდები ცალკე სასწავლო კურსად პროგრამაში წარმოდგენილი არ არის, თუმცა სასწავლო კურსის „მარკეტინგის საფუძვლები“ და კიდევ რამდენიმე სილაბუსში ასწავლიან მცირე პროექტებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ პროგრამაში ასევე არის სასწავლო კურსი „სტატისტიკა“.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ნამდვილად არ გაუჭირდება სტუდენტს პროექტის შემუშავება, რაც ნათლად ჩანს სილაბუსებში. მისი თქმით პრაქტიკის კომპონენტი ისწავლება მეშვიდე სემესტრში და ობიექტზე ხდება თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების გაღრმავება/გამომუშავება, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები რამდენიმე ობიექტთან და პრაქტიკის ანგარიშებში კარგად ჩანს ის შესწავლილი უნარები, რასაც იძენენ სტუდენტები.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე, დაინტერესდა საბაკალავრო პროექტშიც ივითარებენ თუ არა სტუდენტები პრაქტიკულ უნარებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სწორედ ამიტომ არ აქვთ ერთ სემესტრში და სხვადასხვა სემესტრში აქვთ პრაქტიკა და საბაკალავრო პროექტი, რადგან სტუდენტმა პრაქტიკის ობიექტზე ჩაატაროს კვლევა, განახორციელოს მცირე კვლევა, გაანალიზოს შედეგები და შემდეგ ბოლო სემესტრში გამოიყენოს საბაკალავრო პროექტის შემუშავებისას, ის უნარები, რასაც განივითარებს ობიექტზე, შესაძლებელი იყო მერვე სემესტრში ყოფილიყო პრაქტიკაც და საბაკალავრო პროექტი, თუმცა გაიყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:19

დასრულების დრო: 15:23

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის თანახმად 60 დღიანი ვადის მინიჭება ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით არჩევითი სასწავლო კურსი - ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას, როგორც სავალდებულო კურსი, რომელიც თავის მხრივ ორიენტირებულია პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული ცვლილება ბუნებრივია ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას;
2. რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსად, „ტურიზმის ეკონომიკის შეთავაზება“. რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური ასპექტების ეროვნულ და რეგიონულ ჭრილში გააზრებას და ახალი იდეების გენერირებას.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების ურთიერთკავშირის ამსახველ რუკაზე მონიშნული იქნეს თუ რომელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამის მე - 8 სწავლის შედეგის გაცნობასა და გაღრმავებას;
2. სასურველია სასწავლო კურსი „მარკეტინგის საფუძვლები“, ჩანაცვლდეს ციფრული მარკეტინგით და მარკეტინგის საფუძვლების საკითხები გათვალისწინებულ იქნას კურსში „მომსახურების მარკეტინგი“;
3. ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით (მაგალითად, პროექტების მენეჯმენტი) სასურველია განახლდეს ძირითადი ლიტერატურა. ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსებში მიეთითოს თანამედროვე დამხმარე სასწავლო ლიტერატურა (მაგალითად, მომსახურების მარკეტინგი);
4. სასურველია გრძელვადიან პერიოდში უნივერსიტეტმა იზრუნოს აკადემიური აფილირებული პერსონალის გაზრდაზე.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

3. მესამე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | პირობით აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 11.08.2020, გადაწყვეტილებით №679096 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0411 - საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქუთაისი, 4600, აკ. წერეთლის ქ. №13 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, განაცხადა, რომ 2020 წლის 11 აგვისტოს პროგრამას „საბუღალტრო აღრიცხვა“ მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში არ შეცვლილა. დაწესებულების მიერ შესრულებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მიმართა დაწესებულებას და გამოითხოვეს სამაგისტრო ნაშრომები, სადაც საუბარი იყო გარკვეულ პროცედურულ, ლიტერატურულ ნაწილზე, საგნების გაერთიანებასა და დამატებაზე, სტრუქტურულ ცვლილებებზე და რეკომენდაციები, რომლებიც წინა აკრედიტაციის საბჭოზე იქნა წარდგენილი დაწესებულების მხრიდან შესრულებულია, პროგრამას შეეცვალა სახელწოდება, ერქვა „საბუღალტრო აღრიცხვა“, ახლა კი წარდგენილია სახელწოდებით - „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“, შესაბამისად დამატებულია აუდიტის კომპონენტიც და ხარისხი ენიჭება - 0411, საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა, ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიური პროგრამების გამოყენება, მაგალითად: „FMG soft“, „SAP Business One“, „ERP“, Oris Manager, Oris Accounting და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, პროგრამის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მესამე და მეხუთე სტანდარტი არ შეფასებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, პანტელეიმონ კლდიაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულება სრულიად ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას, ისინი პროგრამის განვითარების მიზნით მუდმივად ცდილობენ სხვადასხვა რელევანტური ტექნოლოგიური პროგრამების გამოყენებას შესაბამისი სასწავლო კურსების ფარგლებში. ამჟამად, სასწავლო კურსები: „ფინანსური აღრიცხვა“ და „ბუღალტრული ანგარიშგება“, იყენებს პრაქტიკული მაგალითების/ამოცანების შესრულებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამას, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ხდება მათი გამოყენება პრაქტიკული მეცადინეობებისას. შესაბამისად ვთვლით, რომ რეკომენდაციაში დაფიქსირებული საკითხი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რადგან იგი მიმართულია პროგრამის შემდგომ გაფართოებაზე და კომიტეტი მუდმივად ზრუნავს და მომავალშიც იზრუნებს, რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ პროგრამები სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწევა აუდიტის მიმართულებით კარგად ესმის ზემოაღნიშნული პროგრამების პროგრამაში გამოყენების მნიშვნელობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გიორგი ლაღანიძე, დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია, დაწესებულებამ უნდა შესთავაზოს ჩამონათვალიდან ერთი პროგრამა თუ შესთავაზონ ყველა და მაგისტრმა აირჩიოს, რაც რთული იქნება, მისი მოსაზრებით თუ საუბარია ერთის დამატებაზე მისაღებად.

მისი თქმით, დეტალურად გაეცნო პროგრამას და შეამჩნია, რომ ბევრი სასწავლო კურსის ავტორია პანტელეიმონ კლდიაშვილი, მაგრამ, როდესაც პროგრამის მდგრადობა ერთ ადამიანზეა დამოკიდებული, მისი მოსაზრებით სირთულეა, ასევე აუცილებელია ახალი კადრების მოზიდვა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად შესაბამისობაშია სამაგისტრო დონესთან სასწავლო კურსი „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება“, რომელიც ისწავლება ცნობილი სახელმძღვანელოთი, არ არის სავალდებულო კურსი და არ ართულებს სიტუაციას, თუმცა ხომ არ მიაჩნია უკეთესად, რომ დაწესებულებას თუკი საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება უნდა გამოიყენონ სხვა სახელმძღვანელო.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, განაცხადა, რომ მათ გამოითხოვეს სამაგისტრო ნაშრომი, თუმცა გაფორმებისა და ლიტერატურის გამოყენების წესებთან დაკავშირებით არის პრობლემები. საბჭოს წევრი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და რჩევის სახით მაინც თუ აისახა დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვასილ კიკუტაძე, დაეთანხმა საბჭოს წევრს, გიორგი ლაღანიძეს და განმარტა, რომ რადგან სასწავლო კურსი იყო არჩევითი, შესაბამისად არ ახდენდა გავლენას სწავლის შედეგებზე ექსპერტთა ჯგუფმა შეიკავა თავი აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაციის გაცემისგან.

სამაგისტრო რეგულაციების შესახებ მან აღნიშნა, რომ იყო რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა შესრულებულია და ყველაფერი ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. მან განმარტა, რომ შეეძლო ესაუბრა ნებისმიერი რეკომენდაციის შესრულების შესახებ, მათ შორის კვლევითი კომპონენტის გაძლიერების კუთხით, თუ როგორ არის ჩაშლილი შეფასების კრიტერიუმები, ლიტერატურის გაფორმების ინსტრუქცია და სხვა, ფაქტობრივად ძალიან ბევრი სამუშაოა ამ მიმართულებით გაწეული, რაც ასახულია რეგულაციებში.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძემ, დააზუსტა გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული რეგულაციებამდე თუ მას შემდეგ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული იყო რეგულაციების შემუშავებამდე, მისი თქმით, თუ არ იქნებოდა რეგულაცია ვერ იმსჯელებდნენ ვერც მის შესრულებაზე, ამის გადამოწმება კი მომავალში მას არ შეუძლია, თუმცა რაზეც იყო რეკომენდაცია გაწერილი რეგულაცია ნამდვილად გამართულია, რაც უნდა დაიცვას უნივერსიტეტმა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ გამოთხოვილი ნაშრომი დაწერილი იყო რეგულაციებამდე.

ექსპერტი, მერაბ ხოხობაია, დაეთანხმა საბჭოს წევს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეგულაცია შემდეგ არის დამტკიცებული, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა თარიღები, პროცესში ჩართული იყო წარმომადგენლობითი საბჭოც, მათი მოსაზრებით დაწესებულებამ უნდა დაიცვას აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან საკმაოდ დიდი შრომა გასწიეს.

დაწესებულების რექტორმა, გოჩა თუთბერიძემ, ერთი ლექტორის ბევრ სასწავლო კურსზე მითითებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სხვა ლექტორებიც არის მითითებული, სილაბუსს ყავს ორი ავტორი და არ ყავს მხოლოდ ერთი განმახორციელებელი, მათ მიერ შემუშავებული მათივე ინტელექტუალური საკუთრებაა სილაბუსი და შესაბამისად არიან ავტორები, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი, იმ დარგის, მიმართულების სპეციალისტი იყო მონაწილეობდა სილაბუსების შემუშავებაშიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:36

დასრულების დრო: 15:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის ფარგლებში ტექნოლოგიური პროგრამების გამოყენება, მაგალითად: „FMG soft“, „SAP Business One“, „ERP“, Oris Manager, Oris Accounting და ა.შ.

რჩევები:

1. სასურველია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და მასზე მონიშნული იქნეს თუ რომელი სასწავლო კურსებით ხდება 3-ე, 4-ე, 6-ე და 8-ე სწავლის შედეგების გაცნობა;

2. სასურველია პროგრამაში შეთავაზებული იქნეს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიც, თუნდაც პროგრამაში არსებული ქართულენოვანი სასწავლო კურსების ანალოგების სახით, რაც ცალსახად შეუწყობს ხელს ინგლისური ენის ცოდნის პროფესიულ დონეზე განმტკიცებას;

3. სასურველია პროგრამაში უფრო მეტად იყოს გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე პროფესიული ლიტერატურა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ კი საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა;

4. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სილაბუსის ავტორის და წამკითხველის პოზიციები ანუ დაკონკრეტდეს ვინ არის სილაბუსის ავტორი და ვინ წამკითხველი.

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|--|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | განათლების ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებულია |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 10.08.2020, გადაწყვეტილება №679091 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | განათლების ადმინისტრირების მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13-ე კმ, №2 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განცხადა დიანა მჭედლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ელენე ჯიბლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ განახორციელა გაწერილი ოთხი რეკომენდაციიდან სამი, რადგან მესამე რეკომენდაცია მოიხსნა, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომ მაინც ოთხად ჩაითვალა, რაზეც ყურადღება გამახვილებული არ არის. მან საბჭოს გააცნო წინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი გადასახედია და მისი სხვაგვარად ფორმულირება მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ ის არ ასახავდეს აღწერით სამუშაოს, არამედ კომპლექსური და ანალიტიკური შესაძლებლობის განვითარებას გულისხმობდეს - სამაგისტრო დონის შესაბამისი ყოფილიყო ფორმულირებები, რაც გულისხმობდა, რომ აკრედიტაციის პროცესში განმახორციელებლელმა ახსნეს და კარგად ჩამოაყალიბეს ის თუ რისთვის იყო პროგრამა, გასამართი იყო ფორმულირება, რეკომენდაცია შესრულებულია და ასახულია მიმდინარე პროგრამაში;

2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველი რაუნდის შემდეგ, პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა მოხდეს გაზომვადი შედეგების ფორმულირების მიზნით - აღნიშნული სისტემური პრობლემაა, რადგან ჯერ კიდევ სისტემაში სწავლობენ როგორ უნდა მოხდეს შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება ისე, რომ გაზომვადი იყოს, ის კომპლექსური შეფასების მოდელი, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ ინდიკატორების დონეზე არ იყო გაზომვადი, ანუ რამდენად გაზომავდნენ ამათუიმ სწავლის შედეგსა თუ კომპონენტს კარგად არ ჩანდა და რამდენადაც სწავლის შედეგი კომპლექსურია შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მითითებული მეთოდით შეფასება, ექსპერტის დაკვირვებით რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, ერთი მხრივ იმიტო, რომ შეფასების სრული რაუნდი ჯერ არ მომხდარა, რადგან საკმარისი დრო არ არის გასული და ამის შესაძლებლობა თავად უნივერსიტეტს და პროგრამის წარმომადგენლებს არ ექნებოდათ, მაგრამ უნივერსიტეტი ანგარიშში აღწერს თუ როგორ შეაფასა უკვე არსებული მეთოდების მიხედვით პროგრამა, თუმცა რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გადახედვას და ინფორმაცია იმის შესახებ გადაიხედა თუ არა მეთოდი, თუ რამდენად რელევანტურია არ ჩანს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში ცხადყოფს, რომ დაწესებულება იყენებს მის მიერ ახლად შემუშავებული შეფასების სისტემას და გრაფიკს. ანგარიშში ჩანს, რომ ე.წ. ღია და დახურული კითხვების შედეგების შეფასებით დაწესებულებამ დაადგინა, რომ სწავლის შედეგები მიღწეულია, მაგრამ ღია და დახურული კითხვებით შეიძლება თუ არა სწავლის შედეგის მიღწევა სწორად ამის შესახებ იყო დასმული კითხვა და დაწესებულების პრორექტორს, ნინო ჯოჯუას, სთხოვა განემარტა აღნიშნული საკითხი, მაგ., რეფორმებისა და პროფესიული ეთიკის რეპროდუცირება, როგორ შეიძლება გაიზომოს ღია და დახურული კითხვებით, შესაძლებელია ცოდნა გაიზომოს, მაგრამ ვინმე შეძლებს თუ არა რაიმე ქცევას შესწავლილი ცოდნის შესაბამისად ღია და დახურული კითხვები ზომავს თუ არა, ან შესაძლებელია კეთდებოდეს სხვა მეთოდით, რომელიც ანგარიშში არ ჩანს;

3. განათლების ხარისხის მართვის კურსში მოხდეს განათლების სამივე საფეხურის შესატყვისი საკითხების თანაბრად დაფარვა. განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ლიტერატურა - კურსის მთავარი გამოწვევა იყო ის, რომ სილაბუსში ჩანდა, რომ არ არის დაბალანსებული, ერთგვაროვნად, მეტ-ნაკლებად არ ფარავს მთლიანად განათლების სისტემას, არამედ უფრო მეტად ფარავს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს, ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია ეხებოდა სწორედ იმას, რომ სილაბუსის გადახედვისას დაბალანსებულიყო შინაარსობრივად ეს კომპონენტები, რათა თვალსაჩინო ყოფილიყო, რომ ეხებოდა როგორც პროფესიულს, საშუალო განათლებას და არა მხოლოდ უმაღლესს ან თუ კი გადაწყვიტდნენ, რომ ასე არ იყო საჭირო, უნდა შეცვლილიყო დასახელება, ადეკვატური უნდა გამხდარიყო ან ერთი, ან მეორე მხრივ, პრინციპში გადახედვისას ექსპერტის შთაბეჭდილებით, ისევ არის უმაღლეს განათლებაზე მიმართული, საუბარი არც თავიდან არ ყოფილა, რომ რაღაც წონებით 30% უმაღლესს ეხება და 30% ზოგადს, კურსის განმახორციელებელს/შემქმნელს თვითონვე უნდა განესაზღვრა თუ რა წონით უნდა მიექცია ყურადღება ამისთვის, რაც წარმოჩენილი უნდა ყოფილიყო კურსის სალექციო ჩაშლაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ

ანგარიშში არგუმენტები წარმოდგენილია ყველაფრის შესრულების შესახებ და შესაბამისად არის დაბალანსებული, წარმოდგენილი მასალების საშუალებით დგინდება, რომ ისევ უმაღლესზე არის ორიენტირებული. რაც შეეხება ამავე კურსში ლიტერატურის საკითხს, რომელიც გასაახლებელი იყო და დაწესებულების განცხადებით განახლებულია, ეს არის უმაღლესის მიმართულებით და უკვე არსებული ლიტერატურა, რომელსაც ეყრდნობა სასწავლო კურსი, რამდენად თანაწონადად არის უმაღლესი და საშუალო განათლება წარმოდგენილი ამ საკითხის შესახებ ისევ არსებობს კითხვები, მან მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ემსჯელათ აღნიშნული საკითხის შესახებ.

ექსპერტის განცხადებით, პირველი რეკომენდაცია შესრულებულია, მეორე - ნაწილობრივ შესრულებულია, მესამე კი ნაკლებად არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ, განაცხადა, რომ ვინაიდან მესამე რეკომენდაციაში მითითებული სასწავლო კურსის ავტორი არის დიანა მჭედლიძე, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს წევრია და ვერ მიიღებს მონაწილეობას განხილვაში, მან დაწესებულებას გადაუგზავნა პასუხი.

სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელის, ეკატერინე ფიფიას, განცხადებით რეკომენდაციის აღწერით ნაწილში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სწავლის შედეგები მიღწევადია, თუმცა მათი გაზომვა შეიძლება ყოველთვის არ იყოს შესაძლებელი, რაც განსაკუთრებით ეხება პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ამსახველ შედეგებს, ამდენად მნიშვნელოვანია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველი რაუნდის შემდეგ პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა მოხდეს გაზომვადი სწავლის ფორმულირების მიზნით, ეს იყო რეკომენდაცია, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს, რომ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეფასება ნამდვილად საჭიროებს დაკვირვებას, მაგრამ 2020-21 წელს ჰქონდათ გრაფიკი შემუშავებული და დააკვირდნენ მხოლოდ ორ სწავლის შედეგს, ეს იყო ცოდნა-გაცნობიერების პირველი და მესამე სწავლის შედეგები, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეფასება დაგეგმილია 2023-24 წელს, რადგან ამ შედეგის გაზომვა არ იქნებოდა რელევანტური პირველი კურსის სტუდენტებისთვის, როგორც უკვე აღნიშნა სწავლის შედეგების შეფასება მოხდა განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით და შეფასდა ცოდნა-გაცნობიერების პირველი და მესამე სწავლის შედეგები, ექსპერტთა ვიზიტის დროს სწავლის შედეგების შეფასების რუკასა და მექანიზმებზე კითხვები არ დასმულა, რაც დასკვნიდანაც ჩანს, რეკომენდაციაში არ არის ნახსენები სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების არაადეკვატურობა, თავის დროზე პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტს თან ახლდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები თითოეული შედეგის შეფასებისთვის, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმზე მუშაობის პროცესში პროგრამის გუნდა შეფასების საშუალებად განსაზღვრა ღია და დახურული კითხვები, პროექტი, პრეზენტაცია და პრაქტიკის ანგარიში, რაც ასახული იყო დაწესებულების მიერ მიწოდებულ დოკუმენტში. პირველი სწავლის შედეგი, რაზეც ექსპერტს ჰქონდა კითხვა, ეს იყო განათლებასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სისტემის ისტორიის, თეორიების, რეფორმებისა და პროფესიული ეთიკის აღწერა და რეპროდუცირება ამ კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასებისთვის დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოიყენეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, რომელიც გულისხმობდა თუ რამდენად იყო ზემოაღნიშნული ორი სწავლის შედეგი მიღწეული, კითხვარი შედგებოდა 2 კითხვისგან, კითხვარში გამოყენებული კითხვები და მიღებული შედეგები მოცემული იყო დანართი 3-ში - სწავლის შედეგები შეფასების ანალიზში, ეს არ იყო შეფასების ერთადერთი მექანიზმი, შესაბამისად გამოკითხვით მიღებული შედეგების მიხედვით მნიშვნელოვანი იყო პროგრამის გუნდს ენახა მიღწეული სწავლის შედეგების ქულობრივი შეფასება, როგორც ანგარიშშიც ჩანს პირველი შედეგის შეფასება მოხდა ღია და დახურული კითხვებით და ექსპერტმაც აღნიშნა, რომ ამ ნაწილის შეფასება შესაძლოა მოხდეს ღია კითხვით, რასაც ეთანხმებიან დაწესებულების წარმომადგენლები, სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმშიც ასეა მითითებული. აღნიშნული

სწავლის შედეგის რეპროდუცირების ნაწილი შეფასდა ღია ტიპის კითხვებით, რომლებიც გულისხმობდა შემთხვევის ანალიზსა და ესეს, რაც დაწესებულების წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას დაენახათ, თუ რამდენად მოახერხა სტუდენტმა მიღებული თეორიული ცოდნით პრობლემის გადაჭრა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

პროგრამის ხელმძღვანელმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციაზე პასუხის გაცემა სილაბუსის ავტორის პრეროგატივაა, თუმცა მას არ აქვს საუბრის შესაძლებლობა, რადგან აკრედიტაციის საბჭოს წევრია, მისი თქმით სილაბუსის ავტორმა შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა ექსპერტის მოსაზრება, გამოკვეთა საკითხები, რომლებიც საჭიროებს საფეხურების მიხედვით თემების განხილვას, ასევე გაამრავალფეროვნა ლიტერატურაც, აღნიშნა, რომ ვინაიდან ქართულ ენაზე ლიტერატურა ნაკლებად მოიპოვება ლექტორს შემუშავებული აქვს საკითხავი მასალა, ქართულ ენაზე, კვირების მიხედვით, რაც ატვირთულია დაწესებულების ელექტრონულ პლათფორმაზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, რაც შეეხება ექსპერტის მიერ აღნიშნულ გარემოებას ერთი კონკრეტული მასალის ხუთი კვირის განმავლობაში განხილვაზე აღსანიშნავია, რომ ამ კვირების განმავლობაში არ განიხილება მხოლოდ ეგ მასალა, არამედ გარკვეული საჭირო მონაკვეთები, რომლებიც კავშირშია განსახილველ თემასთან. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, ბოლონის პროცესთან დაკავშირებით ექსპერტის მოსაზრებას სილაბუსის ავტორმა უპასუხა, რომ აუცილებლად მიიჩნევს აღნიშნული თემის განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაკავშირებულია უმაღლესი განათლების საფეხურთან, ვინაიდან ბოლონის პროცესში საქართველოს ჩართულობამ დიდი გავლენა იქონია საქართველოს განათლების სისტემის განვითარებაზე, ხაზგასმით განათლების სისტემაზე, რადგან მისი განუყოფელი ნაწილია უმაღლესი განათლების სისტემა და მას განყენებულად ვერ განიხილავენ. რაც შეეხება უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების პროცენტული თვალსაზრისით თანაბრად დაფარვას, სილაბუსის ავტორი ამის საჭიროებას ვერ ხედავს. კურსის მიზანია სტუდენტმა მიიღოს თეორიული ცოდნა და გამოუმუშავდეს ის პრაქტიკული უნარები, რაც დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან სამივე საფეხურთან მიმართებით, სილაბუსის თემატიკა უზრუნველყოფს თითოეული განსაზღვრული მიზნისა და შედეგის მიღწევას. დისტანციური სწავლების შესახებ მითითებული წყაროები ემთხვევა უმაღლეს განათლებას, თუმცა არ გამორიცხავს ამ კონცეფციების პროფესიულ თუ ზოგადი განათლების მიმართულებით გამოყენებას. ამასთანავე კურსის თემატიკა დაფუძნებულია შედარებითი ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, ასევე თითოეული სტუდენტი ამუშავებს პროექტს და წარმოადგენს, პრეზენტაციის ფორმატში, სტუდენტი თავად ირჩევს თემას მისთვის საინტერესო საფეხურთან დაკავშირებით, ასევე შესაძლებელია გააკეთოს შედარებითი ანალიზი საფეხურებს შორის გარკვეულ საკითხთან მიმართებით, კურსის მსვლელობის დროს განიხილება სხვადასხვა ქეისები, რომლებიც ფარავენ სამივე საფეხურს, კურსის სილაბუსი მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ეტაპობრივად იხვეწება, მათ შორის ხორციელდება გამოყენებული ლიტერატურის განახლება. კურსის ავტორი/განმახორციელებელი გამოთქვამს სურვილს, მიეცეს კურსის განხორციელების პროცესში საჭირო აკადემიური თავისუფლება.

ექსპერტმა, ელენე ჯიბლაძემ, მეორე რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ რეკომენდაციაშიც იყო მითითებული, რომ მიწოდებული მასალა შეიძლება იყოს ანალიზი მიღებულ კითხვარებზე დესკრიპტული სტატისტიკური ინფორმაციის, რაც გულისხმობს, რომ შინაარსობრივად ამ კითხვარებში რა იყო ექსპერტს არ ჰქონდა გაცნობის საშუალება, ამიტომ შინაარსზე, მოხდა თუ არა სწავლის შედეგის მიღწევა ვერ იმსჯელებდა, რაც იყო რეკომენდაციის დავალება. რეპროდუცირების შესახებ აღნიშნა, რომ დასკვნაშიც ჩანს, როგორც შეთავაზება/ვარაუდი თუ ღია კითხვებში ეს იყო განსაზღვრული დასაშვებია, რადგან უნივერსიტეტის განცხადებით ღია კითხვები ზუსტად, რეპროდუცირების კომპონენტს ზომავდა ამ შემთხვევაში ექსპერტიც და საბჭოც უნდა ენდონ უნივერსიტეტს და მისი მხრიდან მეორე რეკომენდაცია ჩაითვლება შესრულებულად. ის, რომ ვიზიტის დროს არ ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს არანაირი შენიშვნა,

ამაზე საუბარი არ არის, როგორც მას წარმოუდგენია, ყოველთვის არის ასეთი შეხვედრები და თავად ვიზიტიც არის პროფესიულ დონეზე განხილვის სივრცე და არა იურიდიულზე, აქედან გამომდინარე, მისთვის უცნაურია ის ფრაზა, რომელიც გააჟღერა პროგრამის ხელმძღვანელმა, თუმცა გასაგებია დაწესებულების პოზიციონირება, თუ რატომ ხდება ასე, საბოლოო ჯამში მას ექვი არ ეპარება, რომ შეფასების სისტემის დახვეწაზე ორიენტირებულია უნივერსიტეტი, ექსპერტის მიზანი იყო და ეძებდნენ ინფორმაციას იმის შესახებ გადახედეს თუ არა მეთოდოლოგიას და ჩათვალეს თუ არა თავისი დაგეგმილი პროცესის ფარგლებში, როგორც საბჭოზე ჩანს ეს ასეა.

მესამე რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ შეიძლება მისი დამოკიდებულება ამ კურსის/შინაარსის მიმართ მკაცრად მოეჩვენოთ და სავარაუდოდ, უნივერსიტეტს, პროგრამის ხელმძღვანელსა და კურსის განმახორციელებლებსაც ასე ეჩვენებათ, თუმცა ექსპერტის გადმოსახედიდან, ამ მიმართულებით მუშაობისა და სამეცნიერო კვლევის გამოცდილებიდან გამომდინარე თავის პოზიციაზე დარჩა, რომ ეს კურსი შინაარსობრივად არ შეესაბამება სახელწოდებას, ამიტომ, მაგ., იმის ნაცვლად, რომ ხელახლა მოხდეს აპელირება ბოლონის პროცესის მნიშვნელოვნების შესახებ, რადგან იმდენად მნიშვნელოვანია, მისი განზოგადება უნდა მოხდეს პროფესიულ განათლებაზეც, ეს არ არის პროფესიულად სწორი განცხადება, ამ შემთხვევაში შეცდომაში შედის, როგორც განათლების სპეციალისტები, ასევე პროგრამის სტუდენტები. ბოლონის პროცესი ეხება უმაღლეს განათლებას და ამით მთავრდება, შესაძლებელია მსჯელობა მის მნიშვნელობაზე, თუ როგორ მოაწესრიგა განათლების სისტემა და კვლევა უმაღლეს განათლებაში, მაგრამ შეუძლებელია იმის თქმა, რომ მთლიანად განათლების სისტემასთან რამე მიმართებაშია. არაფერს არ ამბობს მოსაზრება, რომლისა თანახმადაც უმაღლესი განათლება განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილია და საუბარი იმაზე, რომ ბოლონის პროცესი მნიშვნელოვანია პროფესიული და ზოგადი განათლების სისტემებისთვისაც, არ იქნებოდა სწორი. აქედან გამომდინარე სასწავლო კურსში დაახლოებით 3 შეხვედრა ბოლონის პროცესს ეხება 12-დან ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების მიმართულებით უფრო დიდი ყურადღებაა გამახვილებული, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არის პრობლემა ამის დალაგება, ან შინაარსობრივად მსჯელობა, რომ კურსი ეხება უმაღლეს განათლებას. თუ კურსი უნდა შეეხებოდეს, ზოგადად განათლების სამივე საფეხურს ამისათვის, განათლების ერთი პროფესიონალი ვერ იქნება მცოდნე, რისი გამოსავალიც არის, რომ პროფესიულის ბლოკიც იყოს ისე, როგორც, მაგ., ბოლონის პროცესზე ილაპარაკებდა უმაღლესი განათლება, პროფესიულსაც ბოლონის მსგავსი პროცესი აქვს და ამაზე პროფესიული განათლებისათვის მოწვეული კოლეგა ისაუბრებდა ერთი ლექცია, შესაბამისად ამოიწურებოდა დისბალანსი. საკითხი, რომ შედარებითი ანალიზი არის მეთოდი და ამით დაიფარება შინაარსობრივი დისბალანსი - შინაარსში არ ჩანს, არის ჰიპოთეტური და ექსპერტს არ აქვს საშუალება, რომ ჰიპოთეტურ განცხადებაზე გააკეთოს დასკვნა, შესაბამისად კარგი იქნება თუ საბჭო იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას, იგივე ხდება ზოგად განათლებაზეც, ერთ ლექციაზე, რომ იყოს მოწვეული სპეციალისტი, რომელიც იმსჯელებს იმ საკითხებზე, პრობლემებზე, რომელიც საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფას აქვს დააბალანსებდა შინაარსს, მაგრამ ეს არ ჩანს, საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება არსებულ პირობებში ექსპერტის მიერ შეთავაზებული არგუმენტაციის გაბათილება. აქედან გამომდინარე, ისე გამოვიდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ექსპერტსაც პროფესიული მოსაზრებები აქვს, პრინციპულად არ დაეთანხმა, ვერც უნივერსიტეტს, ვერც პროგრამის ხელმძღვანელს და ვერც კურსის განმახორციელებელს, რომ ეს აკადემიური თავისუფლების ნაწილია. აკადემიური თავისუფლების ნაწილი იქნება იმ მასალების შერჩევა, რომელზეც ააწყოდა კურსს, რომელიც შეესაბამება სწავლის შედეგებსა და სახელწოდებას, ამ შემთხვევაში, თუ სტუდენტს უნდა, რომ განათლების უზრუნველყოფის სისტემაში რაიმე გაიგოს, კურსის ბოლოს შინაარსს დააკვირდებით, ყველაზე კარგად მას ეცოდინება თუ როგორ მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საქართველოში. სტუდენტი ვერ გააკეთებს შედარებით ანალიზს იმასთან დაკავშირებით,

რაზეც მას ინფორმაციას არ მიაწვდიან, პროფესიულ განათლებაზე ძალიან ცოტა ინფორმაციას აწვდი ადნიშნული სასწავლო კურსი სილაბუსის მიხედვით, რეალობაში შესაძლებელია სხვა რამე გაკეთდეს, აქედან გამომდინარე ის, რომ შედარებითი ანალიზი მოხდება რასთან უნდა შეადაროს სტუდენტმა, როდესაც ჯეროვნად არ აქვს მიწოდებული ინფორმაცია/ცოდნა, ექსპერტი სკეპტიკურად არის განწყობილი.

ლიტერატურის შესახებ ექსპერტის თქმით, ანგარიშშიც ნახსენებია, რომ მომზადებულია რიდერი, რომელზეც წვდომა არ ჰქონია და შესაბამისად ვერ იმსჯელებს, რადგან მტკიცებულება უნივერსიტეტს არ მიუწოდებია, თუ საბჭო ჩათვლის საჭიროდ მან გამოთქვა მზაობა, რომ ზემოაღნიშნულ რიდერსაც გადახედოს და თუ არი იქნება მისი რეკომენდაცია მართებული - შეცვლის. მისთვის ეს ყველაფერი პროფესიული პრინციპის საკითხია და სწორედ ამიტომ ამახვილებდა ყურადღებას, რომ შეიძლება, როგორც აკადემიური პერსონალის ავტონომია, სხვადასხვაგვარად ესმის და სწორედ მისი მოსაზრებიდან გამომდინარეობს, პერსონალის ავტონომია, როდესაც საუბარია თანმიმდევრულობაზე, ეს დაცული უნდა იყოს სახელწოდებას, მოსალოდნელ შედეგებსა და იმ შინაარს შორის, რასაც აწვდიან სტუდენტებს, რომელიც ვერ იქნება იმის შემფასებელი, რა მიაწოდა დაწესებულებამ, თუ მანამდე არ ჰქონია შეხება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან, ამიტომ, როდესაც ამბობენ, რომ ასწავლიან ზოგადად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს და ძირითადად საუბარია უმაღლეს განათლებაზე, სტუდენტს აქვს არასწორი წარმოდგენა თუ რას ნიშნავს, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს, რომ პროფესიონალებს ჰქონდეთ არასრული ინფორმაცია და ეგონოთ, რომ სრულია. მისი განცხადებით, როდესაც მასალებზე საუბრობს უშვებს იმასაც, რომ მასალა, როგორც სილაბუსშია წარმოდგენილი, არ არის სრული სახით, მაგ., პირველი ხუთი ლექციის განმავლობაში მეორდება სამი ავტორი: 1. წიგნი; 2. სახელმძღვანელო; 3. ანგარიში, თუ კურსის განმახორციელებელს დაგეგმილი აქვს, რომ წიგნიდან რამდენიმე თავი წაიკითხოს პირველზე, რამდენიმე მეორე და მესამე ლექციაზე, მაშინ არაჩვეულებრივი იქნება თუ მითითებული იქნება სილაბუსში, მითუმეტეს წარსადგენია მონიტორინგისათვის, რადგან სხვაგვარად წარმოდგენა იმის შესახებ თუ წიგნის რა ნაწილებზეა სალექციო კურსი - გაუგებარია. პირველი წყარო, რომელიც წარმოდგენილია, მითითებულია ერთიდაიგივე გვერდების რაოდენობა ხუთივე ლექციის განმავლობაში, რაც მისი მოსაზრებით შეცდომაა, შეეხება ხარისხის სისტემებს, როგორც უმაღლესში, ასევე პროფესიულში. ზოგადი განათლების მიმართულებით მითითებულია მხოლოდ 15 გვერდიანი ანგარიში, რომელიც მეორდება პირველიდან მეხუთე ლექციის ჩათვლით და მან დაწესებულებისგან მოისმინა არგუმენტი, რომ გადანაწილებულია მასალები სხვადასხვა გვერდიდან. ექსპერტი დაინტერესდა, თუ როგორ არის გადანაწილებული პირველიდან მეხუთე ლექციამდე გადანაწილებული, რომ კომპონენტი ამით დაიფაროს, ექსპერტი მზად არის გადახედოს თავის არგუმენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი საკითხია და მისი მოსაზრებით, რადგან ექსპერტმა ამდენი ხანი იმსჯელა, ის რაც დაწესებულებამ სცადა იყო შესაძლო გამოსავალი, რადგან რომ გადაეკეთებინათ სილაბუსის სათაური და ყოფილიყო უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა, მაშინ აცდებოდნენ კურსს - განათლების ადმინისტრირება, აქედან გამომდინარე უნდა მოხდეს ერთი კურსის ფარგლებში სამივე საფეხურის გათვალისწინება და ეს რამდენად არის ამ ეტაპზე გაკეთებული ექსპერტის პოზიცია არის, რომ რაღაც გაკეთებულია, ანუ რაც იყო იმას ჯობია, მაგრამ ბოლომდე გაკეთებული არ არის, შესაბამისად დაინტერესდა ექსპერტის პოზიციით, თუ რამდენად შესაძლებელია და რა დროში ადნიშნული სილაბუსის გადამუშავება, იმ პრინციპის დაცვით, რომ სამივე საფეხური იქნება წარმოდგენილი, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ 5-5 კვირა იყოს სამივე, აქ თავისუფლება აქვს სილაბუსის ავტორს შედარებითი რაღაცეები გააკეთოს ან სხვა მიდგომები გამოიყენოს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ ორნაირად შეიძლება იყოს განხილული სილაბუსი/მისი შინაარსი, რეკომენდაციის გათვალისწინების გზა, რაც ექსპერტმა

აღწერა, ერთი გზა, შეიძლება იყოს, რომ სილაბუსში ასახული საკითხები ასწავლოს სხვადასხვა პირმა, რომელთაც ექნებათ კომპეტენცია, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროში, დაინტერესდა იქნება თუ არა ეს პრობლემის გადაჭრის გზა სილაბუსის შინაარსის ცვლილების გარეშე, ეს უფროა პრობლემა, თუ ის, რომ სილაბუსიდან არ ჩანს მკაფიოდ გარკვეული საკითხები, მან განმარტა კითხვის დასმის მოტივაცია, რომ თვითონ არის მსგავს სიტუაციაში, „ადამიანური რესურსების მართვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ აქვს სასწავლო კურსი, სადაც გაწერილია HR-ის ზოგადი პრინციპები და ერთი ლექციის ფარგლებში ივარება HR-ის ზოგადი პრინციპები/ქეისები, თვითონ ლექციის მსვლელობისას ეხებიან სწავლის სამივე საფეხურს, მეტი დრო ეთმობა საკვანძო საკითხებს, კვლევით პოტენციალსა და სხვა, უფრო მეტად კი უმაღლესის მაგალითზე განიხილება, ზოგიერთი საკითხი, კი მასწავლებლის სტანდარტი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ზოგადის მაგალითზე განიხილება, თუმცა სილაბუსში ჩამოთვლილია თემატიკა და ამ განსხვავებას ვერ შეამჩნევენ, ფრჩხილებშია ჩამოთვლილი იქ სადაც საჭიროა, ქეისები და წყაროები ალაგებს ამას, დაინტერესდა თუ რატომ არ შეიძლება სილაბუსი განიხილოს შემდეგნაირად, რომ ჩამოთვლილია ზოგადი საკითხები, გასაგებია, რომ ბოლონის პროცესს ეთმობა მეტი დრო, თუმცა დაინტერესდა ექსპერტი ჰიპოთეტურადაც კი უშვებდა თუ არა, რომ ლექტორი ერთ ლექციაზე დაფაროს სამივე დონე და განიხილოს საერთო/განმასხვავებელი მახასიათებლები სამივე საფეხურზე, ქეისებით გადაწყვიტოს აღნიშნული პრობლემა. ასევე მისი მოსაზრებით კარგი იქნებოდა, რომ სილაბუსის ავტორს ჰქონოდა შესაძლებლობა გაეცა პასუხი აღნიშნულ კითხვებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრს არ აქვს სიტყვით გამოსვლის უფლება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ უფრო მეტ შუქს მოჰფენდა აღნიშნულ საკითხს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ არ იყო განათლების ადმინისტრირების სპეციალისტი, თუმცა გადახედა, თუ როგორ იყო გაწერილი სილაბუსი ზოგადად, კვირების მიხედვით, ბოლონის პროცესს ეთმობა ორი კვირა, თუმცა საბჭოს წევრი ვერ ხედავს პრობლემას, თუ სილაბუსის ავტორი აქცენტებს დასვამს იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შეეხება დანარჩენ ორ დონეს, თუ იგივე საკითხებია, მაგ., ჰენდაუთებში გამოტანილი, მეცხრე თემის შემდეგ მითითებულია, რომ ფარავს, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებს და სილაბუსიდან გამომდინარე ალბათ მეცხრეს შემდეგ მითითებებს თუ შეხედავენ, შესაძლებელია ასე იყოს. მისთვის ძირითადი კითხვა იყო ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოსა და ექსპერტს არ ჰქონდათ მიწოდებული, ჰენდაუთები, რამდენად არის ჰენდაუთებში სამივე საფეხურზე გასმული ხაზი და რამდენად შეისწავლის, თუ არის ამის შესაძლებლობა, მაგ., თუ დევს ხელმისაწვდომად, თვითონ უნივერსიტეტისთვის უკეთესი იქნებოდა თუ განმახორციელებელს გაუგზავნიდა შესაბამის ჰენდაუთებს, რომ გაცნობოდა, ექსპერტი არ იცნობს აღნიშნულ ჰენდაუთებს, მაგრამ საინტერესოა თუ არის აღნიშნული საკითხი მოგვარებადი ჰენდაუთებით. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენად ეხება ჰენდაუთები სამივე საფეხურს.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ როდესაც სილაბუსს გადახედა 15 კვირიდან მხოლოდ 5-6 კვირაა ისეთი, რომელიც განათლების სამივე საფეხურს ფარავს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ორივე გზით სილაბუსში განათლების სამივე მიმართულების წარმოდგენა შესაძლებელია, არამარტო, ის, რომ სხვადასხვა ლექტორმა უნდა წაიკითხოს, რაც ძალიან აპრობირებული მეთოდია, არამედ Guest Speaker-ები უნდა იყვნენ, მაგ., პრაქტიკოსები, მასალა წინასწარ იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმ მიმართულებით, რომელსაც განმახორციელებელი ლექტორი ნაკლებად იცნობს, მაგ., თუ თვითონ წაიკითხავს და ეცოდინება, რომ სამივე საფეხურის შესახებ უნდა იყოს, უმაღლესს თვითონ დაფარავდა, მაგრამ თავის კოლეგას სთხოვდა, რომ ერთი დღე დახმარებოდა პროფესიულში ხარისხთან მიმართებით მთავარი საკითხების განსახილველად, მასალებს რაც შეეხება, თუ არ ექნებოდა მათი იდენტიფიცირების საშუალება დაიხმარდა კოლეგებს, იგივეს იზამდა ზოგად

განათლებაში, რაც დაახლანსებდა სასწავლო კურსს, იმ თვალსაზრისით, რომ მასალას გაეცნობიან სტუდენტები და შემდეგ პრაქტიკოსსაც მოუსმენენ, კურსი, რომლის დანიშნულებაც არის, რომ სამივე მიმართულებით გააცნოს სტუდენტს ზოგადი პრინციპები, ეს იქნებოდა გაკეთებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ეს სილაბუსი არსებული ფორმით, რომ დარჩეს, მაგრამ კურსის სწავლების პროცესში, კურსის ავტორთან ერთად იყვნენ პროფესიული/ზოგადი განათლების პრაქტიკოსები ჩართულნი და მათაც მიაწოდონ საკონტაქტო საათები, მისაღები არის თუ არა აღნიშნული ფორმატი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სილაბუსში შინაარსის დიფერენცირება ნაკლებად ჩანს, შესაძლებელია მას აქვს სხვანაირი მოლოდინები სილაბუსებთან მიმართებაში და ამიტომ, ყოველ შემთხვევაში სილაბუსში ეს უნდა ჩანდეს, მაგრამ არ ჩანს პროფესიულის ან ზოგადის მიმართულებით რამე ეთმობა თუ არა, ზოგადად არის ბევრი საკითხების განხილვა, მაგრამ უმაღლეს განათლებაზე შემდეგ ყურადღება გადატანილი, რაც ძალიან თვალსაჩინოა, თუ იქნებოდა ბოლონის პროცესის შემდეგ საუბარი, პროფესიულის მიმართულებით მსგავს პროცესზე მაშინ მისაღებია, მაგრამ სილაბუსში ეს არ ჩანს. მისი მოსაზრებით სილაბუსის გადახედვის პროცესში შესაძლებელი იქნება, რომ ის სეგმენტები, რომლებიც პროფესიულ/ზოგად განათლებას ეხება და ეთმობა გაძლიერებული იყოს Guest Speaker-ებით, რომ ეს სეგმენტები წაიკითხოს სხვა ლექტორებმა, რაც ძალიან ჩვეულებრივია, როდესაც პროფილური არ არის და ზოგადია სასწავლო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა იყო თუ არა ეს დაწესებულების პრეროგატივა.

ექსპერტის, ელენე ჯიბლადის, მოსაზრებით ეს მეთოდოლოგიური შეთავაზებაა, რეკომენდაციის შესრულების ერთ-ერთი გზაა. მეორე გზა კი არის ყველაფრის კერძო შემთხვევებზე დამყარება, თუკი კერძო შემთხვევები არის კურსის სწავლების მეთოდოლოგიის ნაწილი სილაბუსში ეს უნდა ჩანდეს, თუმცა არ ჩანს. მას ისევე უჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, რაც უკვე იკითხა, შესაძლებელია სხვა ხორციელდებოდეს, მაგრამ ახსნა-განმარტების დროსაც სხვა ინფორმაცია მოისმინა და ამიტომ აქვს ასეთი პოზიციონირება, არაჩვეულებრივი ხერხია, საერთო და განმასხვავებელის მოძებნა, სამივე საფეხურზე ყველაფერს ვერ მოიცავენ, თუ ბოლონის პროცესია მნიშვნელოვანი უმაღლესში, რა არის ის მნიშვნელოვანი პროცესი, რაც განსაზღვრავს პროფესიულს, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და შემდეგ იქნებოდა მსჯელობა, ესეც შესაძლებელია, თუმცა ვერ დაინახა სილაბუსში, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ეს თვალსაჩინოა და მითითებულია, რომ ბოლონის პროცესის შემდეგ მეხუთე თუ მეშვიდე ლექციის შემდეგ ეხება ყველა საფეხურს, მასალების ლინკებია წარდგენილი, რომელთა გახსნაც შეძლო, ესენია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ან ბრძანებები, ან ინფორმაცია, რომელსაც იძლევა უმაღლესებისთვის, პროფესიულებისთვის ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რაც არ არის აკადემიური ინფორმაცია და მისთვის უცნობია, მხოლოდ ამ საკითხზე დაყრდნობით როგორ ხდება სწავლება, შესაძლოა კურსის განმახორციელებელმა ახსნას, ეს არის ცენტრის მიერ შექმნილი პრაქტიკული მასალები, მისი მოსაზრებით, შესაძლოა განიხილავდნენ აღნიშნულ მასალებს, რადგან ეს არის მხოლოდ პრაქტიკოსების მასალები, რომლებზეც შესაძლებელია აწყობილი იყოს ქეისები, რაც ასევე უნდა ეწეროს, მისთვის სასურველი იქნებოდა სილაბუსში არსებული ინფორმაციის განვრცობა, კონცეპტუალურად რას აკეთებს კურსი, რაც ამ ეტაპზე ვერ წაიკითხა. თვითონ მასალებიც, რაც სავალდებულოდ არის მითითებული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტები გაერკვნენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებში, რადგან იდეალური იქნებოდა ორივეს კომბინაცია, აკადემიური ლიტერატურისა და ცენტრის ბრძანებების. აქედან გამომდინარე ექსპერტი ვერ ხედავს შინაარსობრივად გამართვის პრობლემას, საჭიროა, რომ სავალდებულო კურსი იყოს და სტუდენტებს წარმოდგენა შეექმნათ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებზე და მომავალი სემესტრის დაწყებისთვის ეს აბსოლუტურად მოსწრებადია, თუმცა სამუშაოა მასალაზე, რიდერში თუკი ყველაფერი გამართულია, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს

ეჩვენებინათ მისთვისაც, რადგან სილაბუსშიც კი არ იყო მითითებული, რომელიმე თავი რიდერიდან, ამას არ სჭირდება დიდი დრო დასამუშავებლად, საუბარია იმაზე, რომ თუ მასალებით გამდიდრებაზეა საუბარი, მიზანმიმართულად უნდა მოხდეს პროფესიული და ზოგადი განათლების მიმართულებით და შესაძლოა აირჩიოს ნებისმიერი მეთოდი, იქნება ეს კერძო შემთხვევების განხილვა თუ Guest Speaker-ების მოწვევა სხვადასხვა საჭირობოტო საკითხებზე სამსჯელოდ.

პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ, განაცხადა, რომ ექსპერტი, ელენე ჯიბლაძე არის საკმაოდ კვალიფიციური პერსონალი, მაგრამ არ დაეთანხმა მის მოსაზრებას, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ მის მოსაზრებად დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ არასწორად, იგი საუბრობს სწორ ხედვაზე, თუმცა ეს არის ექსპერტის სუბიექტური მოსაზრება, მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე როგორ ხედავს კურსის განხორციელებას და როგორ განახორციელებდა თვითონ, დაწესებულება არ დაეთანხმა აღნიშნული მოსაზრების რეკომენდაციად გაწერაში, რომ დაწესებულებას მოეთხოვოს ჩართოს Guest Speaker-ები ზოგადი/პროფესიული განათლების მიმართულებიდან და არ ჩათვალოს კურსის წამყვანი ლექტორი კვალიფიციურად აღნიშნული საკითხების განხილვასთან. ძალიან ცუდია, რომ სასწავლო კურსის განმახორციელებელს არ აქვს მოსაზრების დაფიქსირების უფლება, თუმცა პრორექტორმა იცის სილაბუსი და დარწმუნებით შეუძლია თქვას, რომ ხდება ყველა თემის, საფეხურის განხილვა, ამავე დროს, როდესაც საუბარია კრიტიკულ ანალიზსა და განხილვაზე სილაბუსში არის 2 საათი ლექცია და 1 საათი სასემინარო მუშაობა. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ისევე, როგორ ბევრ წამყვან უნივერსიტეტში ლექცია, როგორც მხოლოდ ლექტორის საუბარი არ განიხილება, სადაც სტუდენტები არ მონაწილეობენ და არ არიან ჩართულნი სიტუაციების განხილვაში, ძირითადი წამყვან თეორიულ მასალასთან ერთად აუცილებლად შემოტანილია პრაქტიკული მაგალითები, სიტუაციები, ქეისები და ხდება მათი განხილვა, სემინარზე კი ზუსტად ამ მიმართულებით ხდება საკითხების გაღრმავება, სილაბუსში სემინარზე სტუდენტთა აქტიურობის შეფასებაც არის, სადაც ფასდება სტუდენტის ცოდნა და კრიტიკული ანალიზის უნარი. მისი თქმით, ექსპერტს დაეთანხმებოდა იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებას ექნებოდა დარგობრივი სტანდარტი, სადაც გაწერილი იქნება მოთხოვნები, რაც არის რეკომენდაციაში წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, აღნიშნული სასწავლო კურსი სრულად აკმაყოფილებს მის წინაშე მდგარ მოთხოვნებს. დაწესებულება სრულიად დაეთანხმებოდა ექსპერტს მისი მოსაზრებები რჩევების სახით, რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში მოხდებოდა აღნიშნული საკითხების გადამუშავება, რაც ახლაც მოხდება, მაგრამ ეს საკითხები არ არის რეკომენდაცია და არ ნიშნავს იმას, რომ სილაბუსი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და ვერ გადის სწავლის შედეგზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:43

დასრულების დრო: 17:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია განათლების ხარისხის მართვის კურსში სავალდებულო ლიტერატურის გამრავალფეროვნება განათლების სამივე საფეხურის შესატყვისი საკითხების თანაბრად დაფარვის მიზნით.

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 23.06.2017, გადაწყვეტილება №29 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | - |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 091 - ჯანდაცვა, 0912 - მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, თბილისი, 0160, მ. ალექსიძის ქ. №10 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტმა, ზაზა რუხაძემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წევრების წინაშე, რომ გადაემოწმებინათ მიიღეს თუ არა დასკვნის საბოლოო ვარიანტი, რადგან იგი არსებითად შეიცვალა პროექტის შემდეგ, მოხდა ამაღლება სტანდარტში.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ უნდა დაედასტურებინათ განსახილველი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა და ექსპერტთა დასკვნა იყო თუ არა საბოლოო ვერსია.

დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტმა დასძინა, რომ ამას ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა პირველ რიგში ვალიდურობის მხრივ და შემდეგ ინფორმაციის, დროის დაზოგვისა და წინასწარი განწყობის შექმნის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა უნდა გაეზიარებინათ ეკრანი და ყველა დოკუმენტი ცალ-ცალკე განიხილათ თუ რა შეიძლება გაეკეთებინათ.

დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტმა განმარტა, რომ საუბარი იყო დასკვნაზე და არა ყველა დოკუმენტზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, შოთა კეჭერაშვილმა, განაცხადა, რომ საბოლოო დასკვნა, რომელიც მიიღო ცენტრმა ექსპერტთა ჯგუფისგან, შემდეგ გაუზიარდა საბჭოს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით მომზადდა წინამდებარე დასკვნა. მან განმარტა, რომ პირველ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო სრულად წარმოდგენილი გარკვეული დოკუმენტაცია, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა მიმართა ცენტრს, რათა დამატებით გამოეთხოვა დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლის შედეგად წარადგინეს საბოლოო დასკვნა, აქედან გამომდინარე შეიცვალა შეფასება, მას შემდეგ, რაც დაწესებულებას გადაეგზავნა დასკვნა მათ წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია და იშვიათად ხდება დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაციის/რჩევის გაზიარება, შესაბამისად მათ ჰქონდათ განმარტებული თუ რა გზით/მეთოდებით გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაციები და განახორციელეს ცვლილებები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი არ არის უფლებამოსილი გაეთვალისწინებინა ვიზიტის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები, შესაბამისად შეფასებები იგივეა, რაც დასკვნის პროექტში იყო. მან გამოთქვა იმედი, რომ დაწესებულების წარმომადგენლები უფრო დაბეჯითებით ახსნიდნენ/დაასაბუთებდნენ აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელებას. მისი თქმით, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა,

როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მესამე და მეხუთე სტანდარტი არ შეფასებულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

2.2 კომპონენტი:

- დაკორექტირდეს პროგრამაში შემდეგი ჩანაწერი: „წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა“, რათა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში“ არსებულ ჩანაწერთან: „დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს!“ - დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციას დაადასტურა, რომ გაიზიარეს აღნიშნული რეკომენდაცია და განახორციელეს ცვლილება, თუმცა ექსპერტებს აღარ შეუფასებიათ;

2.3 კომპონენტი:

- გაიმიჯნოს მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსების წინაპირობები;
- მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში;
- რიგი სასწავლო კურსების შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან;
- დაზუსტდეს მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან;
- რეკომენდირებულია 2015 წლამდე გამოცემული ლიტერატურის განახლება;

2.6 კომპონენტი:

- მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები, დაზუსტდეს შეფასების რაოდენობები სემესტრის მანძილზე, სტუდენტისთვის გამჭვირვალე გახდეს ქულების დაგროვების მექანიზმი სხვადასხვა კომპონენტში, რაც თვის მხრივ უზრუნველყოფს მათთან უკუკავშირს;

4.1 კომპონენტი:

- სასწავლო კურსების განხორციელებაში ჩართული კლინიკური პერსონალის დოკუმენტაცია (პირადი საქმეები) მათი კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამას თან დაერთოს სრულყოფილად - რადგან რიგ შემთხვევებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის გარკვეული რაოდენობის დოკუმენტაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი, გიორგი გაბისონია, დაეთანხმა რეკომენდაციას სწავლის შედეგების აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში დაწერის შესახებ და განაცხადა, რომ უმეტესად სწავლის შედეგები უნდა იყოს ასახული აქტიურ დროში, შესაბამისი ზმნებით, თუმცა მათი ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი არის დარგობრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლის შედეგებს მათ სფეროში და ვინაიდან დოკუმენტში არ არის მითითებული ასეთი ზმნები მოხდა მასში მითითებული ფორმულირებების გათვალისწინება და რომ არ შეექმნათ პრობლემა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სილაბუსების შემუშავებაში, აირჩიეს ეს გზა, რომ მაქსიმალურად თანხვედრაში ყოფილიყო მარეგულირებელ დოკუმენტთან, თუმცა გაითვალისწინეს ექსპერტის მოსაზრება, რომ შესაძლებელია მეტად მისაღები იყოს ბლუმის ტაქსონომია და აქტიური ზმნების გამოყენება, მისი თქმით, როგორც კი შეიცვლება მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მედიცინას მართავს დაწესებულებაც მიიღებს შესაბამის ცვლილებებს.

შემდეგი რეკომენდაციის შესახებ (რიგი სასწავლო კურსების შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან) მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანმა განმარტა, რომ ინგლისურენოვანი პროგრამა იქმნება ინგლისურ ენაზე, შესაბამისად ყველა პროგრამული

ნაწილი: სილაბუსი, დანართი, რუკა და სხვა, შექმნილია ორიგინალში ინგლისურ ენაზე, აკადემიური პერსონალი მუშაობს ინგლისურ ენაზე და შესაბამისად ლიტერატურაც არის, შესაბამისად მათი ძირითადი სამუშაო დოკუმენტაცია (პროგრამა, სილაბუსები) არის ინგლისურენოვანი, ქართულ ენაზე პროგრამისა და სილაბუსების თარგმნა მოხდა საქმისწარმოების წესიდან გამომდინარე, რაც მოთხოვნაა აკრედიტაცია/ავტორიზაციისთვის, შესაბამისად პრობლემები, რაც სასწავლო კურსში „სამედიცინო ქართული (II, III და IV)“ არსებობს, არ არის ინგლისურ ენოვან სილაბუსებში, სწორად არის გაწერილი და ქართულად თარგმნის დროს თარჯიმანმა, რომელიც გარე პირია, დაუშვა აღნიშნული შეცდომა, რეკომენდაციას დაწესებულება დაეთანხმა.

„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, შორენა ტუკვაძის, განცხადებით ინგლისურენოვანი პროგრამა ითვალისწინებს კურიკულუმსა და სილაბუსებს ინგლისურ ენაზე, შესაბამისად სტუდენტებსა და ლექტორებს მიეწოდებათ სილაბუსები ინგლისურად, სადაც ყველაფერი იყო გამართული, თუმცა იყო შეცდომა თარგმანში, რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია და გასწორდება თარგმანი, რაც ეხებოდა სასწავლო კურსს „სამედიცინო ქართული (II, III და IV)“, ასევე იყო რეკომენდაცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში წინაპირობების დაზუსტების შესახებ, ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს აღწერით ნაწილში არ ჰქონდა დაზუსტებული, თუ რომელ სასწავლო კურსებს გულისხმობდნენ, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა ივარაუდეს, რომ აღნიშნული ეხებოდა ქართული და ინგლისური ენების სასწავლო კურსებს, რომლებიც არის სილაბუსები „სამედიცინო ქართული I-IV“ და „სამედიცინო ინგლისური I-IV“, სადაც დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი წინაპირობებთან დაკავშირებით, თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმაში აღნიშნული სასწავლო კურსების წინაპირობები შესაბამისად არის მოცემული, ხოლო სილაბუსებში არსებული ხარვეზები უკვე გასწორებულია, მემკვიდრეობის პრინციპის სასწავლო კურსებში (საოჯახო მედიცინა I-II, კლინიკური რადიოლოგია I-II, კლინიკური მსჯელობა II-III), ერთიდაიგივე, სახელმწიფო ორგანოებში ქართულ ენაზე საქმისწარმოების მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც უკვე აღნიშნა ინგლისურენოვან სილაბუსებში აღნიშნული პრობლემა არ არის, ქართულენოვან სილაბუსებში ინგლისურიდან თარგმნის დროს დაშვებულია უზუსტობები შეფასების კრიტერიუმებსა და მექანიზმებში, რაც არ შეესაბამება ინგლისურენოვან ორიგინალს. რეკომენდაცია არის მიღებული და გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანმა, გიორგი გაბისონიამ, ბოლო 5 წლის ლიტერატურის გამოყენების შესახებ განაცხადა, რომ პროგრამა მაქსიმალურად იყენებს თანამედროვე, განახლებულ, ინგლისურ ლიტერატურას, წიგნების უმეტესობა არის 2019-2020 წლის გამოცემა, არის რიგი საგნები, მაგ., სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ეპიდემიოლოგიური ვითარების შესწავლის შესახებ, სადაც გამოყენებულია 2014 წლის წიგნი, რადგან მას შემდეგ ამ რეგიონზე ამის შემდეგ ახალი წიგნი არ გამოცემულა, ლექტორს უწევს არსებული წიგნის გამოყენება და უწევთ მასალებისა და ჰენდაუთების გაკეთება, სხვა ძველი გამოცემები შესაძლებელია იყოს არჩევით საგნებში, თუმცა თუ ეს არის პერიოდულად განახლებული ლიტერატურა დაწესებულება ყოველთვის აახლებს, რაშიც ავტორიზაციის ექსპერტებიც დარწმუნდნენ, 2017 წელს უნივერსიტეტმა დახარჯა დაახლოებით 18000 დოლარი მხოლოდ ლიტერატურის განახლებაში, თუმცა ზოგიერთი კურსი საჭიროებს ძველ ლიტერატურას, მაგ., სტატისტიკაში გამოიყენება 1989 წელს გამოშვებული ლიტერატურა, რომელიც არ არის ძირითადი, თუმცა მას შემდეგ იგივე სტატისტიკური პრინციპი უკეთესად არავის აღუწერია.

მეოთხე სტანდარტის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის არასწორად გახსნის შესახებ, რაც ტექნიკური ხარვეზი იყო და შემდეგ მოხდა დოკუმენტაციის თავიდან გადაგზავნა, დაწესებულებამ ამ პერსონალითა და პარტნიორებით გაიარა ავტორიზაცია ივნისში.

პროგრამის ხელმძღვანელის, შორენა ტუკვაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში არის ტექნიკური ხარვეზები, სტუდენტებსა და ლექტორებს მიეწოდებათ ინგლისურენოვანი

სილაბუსები, სასწავლო პროცესის განხორციელებისასაც სარგებლობენ ინგლისურენოვანი დოკუმენტაციით, აღნიშნულ ხარვეზებს სასწავლო პროცესის განხორციელებაში ხელი არ შეუშლია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ გადახედა დასკვნის საბოლოო ვერსიას და დაადასტურა, რომ პირველ სტანდარტთან დასკვნის საბოლოო ვერსიაში რეკომენდაცია არ არის.

მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანმა, გიორგი გაბისონიამ, აღნიშნა, რომ მას ჰქონოდა ძველი ვერსია, რაც რეკომენდაციის წაკითხვის შემდეგ აღმოაჩინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინე ფხაკაძე, არის მედიცინის დარგობრივი საბჭოს წევრი, დარგობრივი მახასიათებელი განიცდის განახლებას, რაც უნდა გადაგზავნილიყო, ძირითადი დოკუმენტი სწორედ დარგობრივი მახასიათებელია, როდესაც პროგრამის შემუშავებაზეა საუბარი, სადაც ბლუმის ტაქსონომია ნაკლებად არის გათვალისწინებული და აქტიური ზმნების ნაცვლად, თავიდან საფუძვლიანად სწავლობდნენ ყველა დოკუმენტაციას. მან გაითვალისწინა უნივერსიტეტის პოზიცია, რადგან მთავარი იყო კომპეტენციები/შედეგები, რაც დარგობრივ მახასიათებელშია გაწერილი და მისი მოსაზრებით პროგრამა ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია. აკადემიური პერსონალის ტრენინგთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა მას რამე არ ეთქვა, რადგან დაწესებულების წარმომადგენლები, ვინც ესწრებოდნენ სხდომას იყვნენ ემის ტრენინგზე სამედიცინო განათლებაში, სადაც თსსსუ-ის შემდეგ გაუ-დან იყო ყველაზე მეტი წარმომადგენელი, მისი მოსაზრებით თუ იფიქრებენ, რომ ეს იყო ტიოტის პრინციპით, რადგან საკმაოდ ძვირი ღირს ტრენინგებზე დასწრება, რეკომენდაცია იყო ყველა უნივერსიტეტისთვის, რომ ვინც გაივლიდა შემდეგ ტიოტი ეწარმოებინათ, ის ფაქტი, რომ გაუ აქტიურად ესწრება სამედიცინო განათლების ტრენინგებს, მისი მხრიდან დადასტურებულია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არც აღნიშნული რეკომენდაცია იყო გაწერილი საბოლოო დასკვნაში.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განმარტა, რომ მისთვის უცნობია, თუმცა რაც წაიკითხა იქ იყო აღნიშნული რეკომენდაცია და მისთვის შეუძლებელი იყო, რომ არ აღნიშნა საბჭოს წევრებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ, განაცხადა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტმა გამოიწვია გაურკვეველობა, დაწესებულებისთვის არსებითი სხვაობაა დასკვნის პროექტსა და საბოლოო დასკვნას შორის, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტაცია. ძირითადი აქტიურ ზმნებთან დაკავშირებული რეკომენდაცია იყო, რომელიც გადატანილია რჩევებში, რატომღაც იყო რეკომენდაცია სწავლის შედეგების 6 ჯგუფად ჩამოყალიბების შესახებ, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია საერთოდ გაქრა რეკომენდაციებიდან და წერია, რომ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. ასევე, მესამე რეკომენდაცია, რომელიც შეიცვალა იყო ტრენინგებთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თვითშეფასების ანგარიშში არანაირი ფორმით არ იყო მითითება, რომ ტრენინგების შესახებ დოკუმენტაცია წარედგინათ და დასკვნის პროექტში გაცემული რეკომენდაციის შემდეგ წარადგინეს საბუთები, რაც შემდგომში გადაიტანეს რჩევებში, ამიტომ მეოთხე სტანდარტის შეფასება „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მოიხსნა და გადავიდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტთან დაკავშირებით კი დარჩა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რასაც განაპირობებდა მემკვიდრეობითი პრინციპით სწავლის შედეგების ჩამოყალიბების საკითხი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ თავიდან ზოგადი იყო აღნიშნული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეიცვალა, რადგან მათი პასუხი ეხებოდა მემკვიდრეობითი საგნების მიზნებისა და შედეგების ჩამოყალიბებას, მემკვიდრეობით საგნებთან დაკავშირებით ადრეც იყო მსგავსი პრობლემა და მან ინგლისური ენის ლექტორებს უთხრა, რომ თუ ექსპერტებს სურთ თემატიკა დაინახონ ცოდნის ნაწილში,

უნდა აეტანათ, თუმცა მისი მოსაზრებით ეს არ არის არსებითი, რადგან უნარი და პასუხისმგებლობა ერთ თემატიკაზე გადის, ცოდნა-გაცნობიერების კი განსხვავებულია, შესაბამისად გადის შედეგის ჩამოყალიბებაზე, ზოგი უნივერსიტეტი ირჩევს, რომ თემატიკის ინტეგრირება მოახდინოს, მთლიანად კოპირება ხდება თემატიკის ცოდნის ნაწილში.

ვიცე-პრეზიდენტმა, ზაზა რუხაძემ, განაცხადა, რომ როდესაც პროგრამა არის ინგლისურენოვანი და ინგლისურად ხორციელდება, ექსპერტის თავისუფალი ნება არ არის, თუ რითი იხელმძღვანელებს და დასკვნა დაწეროს, მას აქვს ვალდებულება შეადაროს დედანი და თარგმანი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პირობაა, ზოგადად.

მან აქტიურ ზმნებთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც კონსტიტუციურ სამართალში უკითხავს ლექციებს სტუდენტებს, მეორე კურსელებს ეუბნება, რომ რეკომენდაციების გადმოტანა და ყველაფრის საკანონმდებლოდ ქცევა არის უბედურება, აქაც ექსპერტის ნების საკითხია, მან მიმართა ცენტრს მიეხედა ამ საკითხისთვის, რომ არ ყოფილიყო ექსპერტის ნებაზე დამოკიდებული აღნიშნული საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:45

დასრულების დრო: 18:04

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის თანახმად 60 დღიანი ვადის მინიჭება ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. დაკორექტირდეს პროგრამაში შემდეგი ჩანაწერი: „წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა“, რათა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში“ არსებულ ჩანაწერთან: „დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს“;
2. რიგი სასწავლო კურსების შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან;
3. დაზუსტდეს მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსების წინაპირობები და სწავლის შედეგები და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან.

რჩევები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების დანართი დაკორექტირდეს, როგორც დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის შედეგების სამიზნე ნიშნულები;

2. კურიკულუმისა და პროგრამის კომპონენტების ქართულ ვერსიებში სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში;
3. საგანმანათლებლო პროგრამის ქართულენოვან ვერსიაში შეტანილ იქნას ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ, რაც შესაბამისობაში იქნება პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსიის თანახმად განსაზღვრული პირობების;
4. სასურველია 2015 წლამდე გამოცემული ლიტერატურის განახლება;
5. სწავლის მეთოდების შერჩევასა და მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა;
6. მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები, დაზუსტდეს შეფასების რაოდენობები სემესტრის მანძილზე, სტუდენტისთვის გამჭვირვალე გახდეს ქულების დაგროვების მექანიზმი სხვადასხვა კომპონენტში, რაც თვის მხრივ უზრუნველყოფს მათთან უკუკავშირს.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 27 აგვისტოს 18:08 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

